თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5159523

ნომერი: AR1773705

თარიღი : 11.09.2020

გაცემის თარიღი : 26.10.2020

გაცნობის თარიღი : 29.10.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი IV , მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ივანე მირცხულავა პ/ნ 01024058204
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 18 ბ. 133

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 11 სექტემბერს №AR1773705 განცხადებით მომართა ივანე მირცხულავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 27

აგვისტოს №5081552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანებით შეთანხმდა ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი IV, მიმდებარედ (ნაკვეთი 07/018), არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.07.007.094), განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (სექტორი №2 A3-A4 და B1, B2, B3, B4, B5) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 04 სექტემბრის №5092211 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 04 სექტემბრიდან 2022 წლის 04 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საცხოვრებელი ფართობი 6117.7 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 5281.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 835.6 კვ.მ-ის ნაცვლად 836 კვ.მ. განმცხადებელი ასევე განმარტავს, რომ -2.70 და 0.00 ნიშნულის გეგმებზე ავტოსადგომის ფართობი გაურკვევლად იყო მითითებული (არ ჩანდა გეგმაზე კვადრატულობა) და ითხოვს აღნიშნული გეგმების ჩანაცვლებას.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ საცხოვრებელი და საზაფხულო ფართობების ცვლილებასთან ერთად იცვლება საერთო ფართობი და იგი შეადგენს 9476.9 კვ.მ-ს. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ არ იცვლება -2.70 და 0.00 ნიშნულის გეგმები უბრალოდ მათზე ხდება ავტოსადგომების ფართობის დაზუსტება, ამასთან აღნიშნული გეგმების ჩანაცვლება არ იწვევს სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანებაში დაფიქსირებული ავტოსადგომის ფართობის ცვლილებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 9476.9 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 5281.3 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 836 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანებით შეთანხმებული -2.70 და 0.00 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 27 აგვისტოს №5081552 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.